



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული
ცენტრი
საქპატენტი**



სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 7807/03

30 ივლისი 2020 წ.

სს „სილქნეტის“ გენერალურ დირექტორს
ბატონ დავით მამულაიშვილს
მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. N95
0112, თბილისი, საქართველო

ბატონო დავით,

სს „სილქნეტის“ (ს.ნ. 204566978) (მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. N95, 0112, თბილისი, საქართველო) მიერ, 2020 წლის 22 ივლისს, სარეგისტრაციოდ განცხადებული ნიშნის „Silk Music“ (საიდ. N109139/3) სარეგისტრაციო განაცხადთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ არსობრივი ექსპერტიზის ეტაპზე საქპატენტის სასაქონლო ნიშნების რეესტრში ჩატარებული ძიების ანგარიშის ანალიზის შედეგად გამოვლინდა კომპანიის „სილქ როუდ გრუპ ეს. ეი“ (მისამართი: აკარა ბილდინგი 24 დეკასტრო სთრ., ტორტოლა, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები) სახელზე 41-ე კლასის მომსახურების მსგავსი ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნები: 1. „სილქ ბლავ სე თაუერ Silk Black Sea Tower Силк Блек Си Тауер“ (რეგ. N30254; რეგ. თარიღი: 05/10/2018), 2. „სილქ თაუერ Silk Tower Силк Тауер“ (რეგ. N30256; რეგ. თარიღი: 05/10/2018), 3. „სილქ როუდ ბლექ სი თაუერ Silk Road Black Sea Tower Силк Роуд Блек Си Тауер“ (რეგ. N30261; რეგ. თარიღი: 05/10/2018), 4. „სილქ როუდ თაუერ Silk Road Tower Силк Роуд Тауер“ (რეგ. N30257; რეგ. თარიღი: 05/10/2018), 5. „სილქ როუდ სანი თაუერ Silk Road Sunny Tower Силк Роуд Сани Тауер“ (რეგ. N30258; რეგ. თარიღი: 05/10/2018), 6. „სილქ როუდ სი თაუერ Silk Road Sea Tower Силк Роуд Си Тауер“ (რეგ. N30253; რეგ. თარიღი: 05/10/2018), 7. „სილქ სი თაუერ Silk Sea Tower Силк Си Тауер“ (რეგ. N30255; რეგ. თარიღი: 05/10/2018) და 8. „სილქ ფერლ თაუერ Silk Pearl Tower Силк Перл Тауер“ (რეგ. N30260; რეგ. თარიღი: 05/10/2018).

დამატებით გაცნობებთ, რომ საქპატენტი გამოთქვამს ვარაუდს, რომ სს „სილქნეტი“ (ს.ნ. 204566978) (მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. N95, 0112, თბილისი, საქართველო) და კომპანია „სილქ როუდ გრუპ ეს. ეი“ (მისამართი: აკარა ბილდინგი 24 დეკასტრო სთრ., ტორტოლა, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები) წარმოადგენენ ერთ სამეწარმეო ჯგუფში შემავალ იურიდიულ პირებს.


სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან

დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „თუ განაცხადის მასალები მოითხოვს დაზუსტებას განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება. ... განაცხადის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემთხვევაში ამ მუხლში მითითებული შეტყობინებაზე პასუხი წარმოდგენილი უნდა იყოს შეტყობინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საქპატენტი, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოიტანს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ 15 დღის ვადაში წარმოადგინოთ სათანადო წესით შედგენილი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება რომ სს „სილქნეტი“ (ს.ნ. 204566978) (მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. N95, 0112, თბილისი, საქართველო) და კომპანია „სილქ როლდ გრუპ ეს. ეი“ (მისამართი: აკარა ბილდინგი 24 დეკასტრო სთრ., ტორტოლა, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები) წარმოადგენენ ერთ სამეწარმეო ჯგუფში შემავალ იურიდიულ პირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქპატენტი გამოიტანს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციოდ განცხადებული ნიშნის „Silk Music“ (საიდ. N109139/3) რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნებისა და
გეოგრაფიული აღნიშვნების
მეორე სამმართველოს უფროსი



მარიამ კეპულაძე